

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,  
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

ოქმი N5

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

23 იანვარი 2018 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის  
კომისიის თავმჯდომარე - *გელა ჩიკვაძე*

სხდომას ესწრებოდნენ: *გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ოლეგი მიქელთაძე,  
ვარლამ გორგაძე, თამარ შენგელია, რამაზ არველაძე.*

*საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთვარი სპეციალისტი საოქმო  
წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე*

დასწრების ფურცელი თან ერთვის /დანართიN1/.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ვანის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებაში  
ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს.: გიორგი ივანიაძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო  
საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის N32 დადგენილებაში  
ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს.: გიორგი ივანიაძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტოკომისიის დებულების  
დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის  
N33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს.: გიორგი ივანიაძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის  
დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7  
დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს.: გიორგი ივანიაძე

5. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის N35 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს.: გიორგი ივანიაძე

6. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს.: გიორგი ივანიაძე

7. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს.: გელა ჩიკვაძე

8. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

მომხს.: გელა ჩიკვაძე

9. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

მომხს.: გელა ჩიკვაძე

10. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს.: ზვიად კაპანაძე

11. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს.: მიხეილ სვანაძე

12. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს.: ირაკლი ჭაფოძე

13. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი

14. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს: თამუნა ადეიშვილი

15. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს: მამუკა გეგიძე

16. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

მომხს: ბესარიონ ახვლედიანი

17. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს: ივანე მამფორია

18. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

მომხს: დავით გაბუნია

19. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: დავით გაბუნია

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N 2

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიამემ წარმოადგინა დადგენილების პეროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. საკრებულოს აპარატი ვალდებულია გამოაქვეყნოს:

ა) ცნობა საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე და განსახილველ საკითხებზე დაინტერესებულ პირთა მიერ მოსაზრებების წარდგენის ვადის შესახებ – შესაბამისი სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც;

ბ) საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმები – შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში;

გ) ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებზე მერის დასკვნა და ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტი (შესწორების შემთხვევაში) – საკრებულოში წარდგენიდან 2 დღის ვადაში;

დ) საანგარიშო წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში – საკრებულოსათვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში;

ე) საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და საკრებულოს ფრაქციების დასკვნები ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით – ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;

ვ) საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეთა მიღების გრაფიკი – გრაფიკის დამტკიცებიდან 2 დღის ვადაში;

ზ) მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები – შედეგების შეჯამებიდან ხუთი დღის ვადაში;

თ) საკრებულოს წევრის მიერ ამომრჩეველთა მიღების დღე, ადგილი და საათები – მიღების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მაინც;

ი) საკრებულოს წევრის მიერ მოსახლეობასთან შეხვედრის დღე, ადგილი, საათები და დღის წესრიგი (მისი არსებობის შემთხვევაში) – შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე მაინც;

კ) საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს წევრის ანგარიშის ტექსტი, ანგარიშის წარდგენის დღე, ადგილი და საათი – საკრებულოში ანგარიშის წარდგენამდე ერთი კვირით ადრე მაინც;

ლ) საკრებულოს, საკრებულოს წევრის, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის მუშაობის წლიური ანგარიში – საკრებულოში წარდგენიდან 10 დღის ვადაში;

მ) მერის, მერიის სამსახურების უფროსების და მერის წარმომადგენლების წლიური ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ – წარდგენიდან 10 დღის ვადაში;

ნ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის ამსახველი სხვა დოკუმენტები – საკრებულოს აპარატში რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში;

ო) მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა – საკრებულოს მიერ დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში.

პ) პეტიცია - საკრებულოში მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში;

ჟ) რეგლამენტის 108-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი წერილობითი ინიციატივა – საკრებულოში მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში.

კომისიის წევრებისგან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები და შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხომაზე გასატანად.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N 3

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ და განმარტა, რომ ძირითადი ცვლილება წარმოდგენილ დადგენილებაში არის ის, რომ დებულებაში ჩაემატება კომისია იქმნება კერძო სამართლის იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, აგრეთვე კომისიის თავმჯდომარე კომისიის სხდომაზე განიხილავს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს დებულების პროექტს დასამტკიცებლად.

კომისიამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე პროექტს.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N 4

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ ძირითადად ცვლილება მოხდა ის, რომ კომისია იქმნება კერძო სამართლის იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, აგრეთვე კომისიის თავმჯდომარე განიხილავს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს დებულების პროექტს დასამტკიცებლად.

კომისიამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე პროექტს.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N 5

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ და მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აქაც როგორც სხვა კომისიის დებულებებში ცვლილება ის არის, რომ კომისია იქმნება კერძო სამართლის იურიდიული პირების კონტროლის მიზნით და ასევე კომისიის თავმჯდომარე განიხილავს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს დებულების პროექტს დასამტკიცებლად.

კომისიამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე დადგენილების პროექტს.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N 6

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ და აღნიშნა, რომ აქაც ცვლილება ის არის, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირების კონტროლის მიზნით და ასევე კომისიის თავმჯდომარე განიხილავს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს დებულების პროექტს დასამტკიცებლად.

კომისიამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე დადგენილების პროექტს.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N 7

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ და განმარტა, რომ რომ ძირითადი ცვლილება წარმოდგენილ დადგენილებაში არის ის, რომ დებულებაში ჩაემატება კომისია იქმნება კერძო სამართლის იურიდიული პირების კონტროლის მიზნით და ასევე კიდევ ჩაემატა ის, რომ კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახიროებისა და ადგილობრივი გადაზიდვების წესების, ტრანსპორტის მარშუტებისა და გრაფიკების განსაზღვრის, ადგილობრივი გადაზიდვების წესების, ტრანსპორტის მარშუტებისა და გრაფიკების განსაზღვრის, ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის, ავტოსანტრასპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა დაგეგმვისა და დგომა/გაჩერების წესების დადგენა.

კომისიის მხრიდან მოსაზრებები და შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N 8

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გელა ჩიკვაძე, კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე და განმარტა, აღნიშნული ცვლილება შევიდა ფრაქციის შემადგენლობაში, ფრაქციის წევრმა შალვა ლორთქიფანიძემ დატოვა ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს შემადგენლობა.

კომისიამ მიიღო ცნობის სახით წარმოდგენილი მეშვიდე საკითხი.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N9

დღის წესრიგის მერვე პროექტთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გელა ჩიკვაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე და განმარტა, რომ ფრაქციას დაემატა ახალი წევრები : სანდრო ხურციძე, პაატა ხურციძე, ამირან ტალახაძე, ბიჭიკო ბაიკიძე , გიგა გოგობერიძე, და შალვა ლორთქიფანიძე. აგრეთვე არჩეული იქნა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე - სანდრო ხურციძე.

კომისიამ მიიღო ცნობის სახით წარმოდგენილი მერვე საკითხი.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N10

დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გელა ჩიკვაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე და განმარტა, რომ ფრაქციას დაემატა ახალი წევრები: ივანე კორძაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, რობიზონ ფუტყარაძე, ოლეგი მიქელთაძე და დავით ადეიშვილი.

აგრეთვე არჩეული იქნა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე - დავით ადეიშვილი.

კომისიამ მიიღო ცნობის სახით წარმოდგენილი მეცხრე საკითხი.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N11

დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამსახურის დებულებაში ძირითადი ცვლილება შევიდა ის, რომ სიტყვა გამგეობა შეიცვალა მერიით და ასევე დებულებაში ვეტერანთა ბაზის შექმნა გაუქმდა.

კომისიამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეათე დადგენილების პროექტს.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N12

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დებულებაში ცვლილება არის ის, რომ გამგეობა შეიცვალა მერიით სხვა ცვლილება არ გვაქვს.

კომისიამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეათე დადგენილების პროექტს.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N13

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლის არყოფნის გამო საპატიო მიზეზით სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ხათუნა სოსელიამ, წარმოადგინა დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ ჩვენთანაც როგორც სხვა სამსახურებში სიტყვა გამგეობა შეიცვალა მერიით, სხვა ცვლილება არ არის.

კომისიამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეათე დადგენილების პროექტს.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N14

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლის არყოფნის გამო საპატიო მიზეზით სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა თემურ სოხანეიშვილმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დებულებაში სიტყვა გამგეობა შეიცვალა მერიით, ასევე ჩვენს სამსახურს დაემატა არქიტექტურის განყოფილება თავის ფუნქციებით და შესაბამისად შეიცვალა სამსახურის სახელწოდება.

კომისიამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეათე დადგენილების პროექტს.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N15

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა თამარ ადეიშვილმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობის და განმარტა, რომ დებულებაში სიტყვა გამგეობა შეიცვალა მერიით, ასევე სამსახურს დაემატა ინსპექტირების ფუნქციები და შესაბამისად შეეცვალა სახელიც, „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური“.

კომისიამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეათე დადგენილების პროექტს.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N16

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთხუთმეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა გეგიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ დებულებაში ფუნქციონალური ცვლილებები არ განხორციელებულა, მხოლოდ სიტყვა გამგეობა შეიცვალა მერიით.

კომისიამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთხუთმეტე დადგენილების პროექტს.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N17

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა - ბესარიონ ახვლედიანი წარმოადგინა დადგენილების პროექტი ვანის

მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ და აღნიშნა, რომ დებულებაში ცვლილება ითვალისწინებს, რომ გამგეობა შეიცვალა მერიით, სხვა ცვლილება არ ყოფილა.

კომისიის მხრიდან აღნიშნულ მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N18

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეჩვიდმეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ დებულებაში სიტყვა გამგეობა შეიცვალა მერიით. ასევე შესყიდვების განყოფილება თავისი ფუნქციებით გადავიდა ადმინისტრაციულ სამსახურში და თავისათვის სამსახურსაც შეეცვალა სახელწოდება.

კომისიამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეჩვიდმეტე დადგენილების პროექტს.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N19

დღის წესრიგის მეთვრამეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსმა დავით გაბუნიათ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ დებულებაში სიტყვა გამგეობა შეიცვალა მერიით, ასევე ადმინისტრაციულ სამსახურს დაემატა შესყიდვების განყოფილება თავისი ფუნქციებით.

კომისიამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთვრამეტე დადგენილების პროექტს.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N20

დღის წესრიგის მეცხრამეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსმა დავით გაბუნიათ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე, მომხსენებელმა აღნიშნა

რომ, ყველა ის ცვლილებები რაც წარმოდგენილ სამსახურის დებულებებში შევიდა ყველა აისახა მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში.

კომისიამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეცხრამეტე დადგენილების პროექტს.

წარმოდგენილი საკითხები მზად არის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N21

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**გელა ჩიკვაძე**

**საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,  
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის  
კომისიის თავმჯდომარე**